

საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგი - 2011

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ზურაბ ჟვანიას სახელობის
სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის (www.zspa.ge) საინფორმაციო
გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი
მონიტორინგი

2011 წლის 09 დეკემბერი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა 1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge





საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ზურაბ შვანიას სახელობის
სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა

www.zspa.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები

ოფიციალური ვებ-გვერდის საინფორმაციო გამჭვირვალობა IDFI
პარამეტრების მიხედვით





**საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო
ადმინისტრირების სკოლის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:**

- ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ

1. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სკოლის ხელმძღვანელობის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება სკოლის დირექტორის სახელი და გვარი, ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა. აგრეთვე, არ მოიძიება დირექტორის არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი - სამუშაო ელ.ფოსტა, მისალების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;
- სკოლის წესდების თანახმად, დირექტორის ჰყავს ორი მოადგილე, ხოლო ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „პერსონალი“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ადმინისტრაცია“ მოცემულია დირექტორის მხოლოდ ერთი მოადგილის შესახებ ინფორმაცია:



გია ცეცხლაშვილი - 10.06.1959

დირექტორის მოადგილე

პროფესია

იურისტი

პრომოციური პროგრამისტი

ინჟინერ მექანიკოსი

საკონტაქტო ინფორმაცია

ელ-ფოსტა: gi@zspa.ge

ტელეფონი: (231) 32600 (11) / (231) 33471

სამუშაო გამოცდილება

12.05.2005 - სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა (დირექტორის მოადგილე)

07.2005-10.2005 - ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის სატრანსპორტო სამსახური (იურისტი)

02.2002-04.2003 - ფონდი "აფხაზიორტეკონტრი" (იურისტი)

12.2000 - პპ „კერი ერ ჯი“ (დირექტორი)

08.1997 - სს „ტოიოტა ცუმი კორპორეიშენ“ ("ტომერ კორპორეიშენ") (წარმომადგენელ სექტორისტი)

12.1995-02.2001 - ტასისის ბიზნესის ზელშემწყობი დანტრი (ექსპრტი-იურისტი)

12.1992-11.1995 - საქართველოს პარლამენტი (პარლამენტის წევრი)

04.1982-07.1995 - ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ასისტენტი)

ამასთან, ზემოთ მოყვანილი, მოადგილის საკონტაქტო ინფორმაცია არასწორად არის ვებ-გვერდზე წარმოდგენილი, კერძოდ, ქ. ქუთაისი სატელეფონო კოდი შეიცვალა და დღეის მდგომარეობით არის 431, ხოლო ვებ-გვერდზე მოცემულია 231, რაც მომხამრებლისათვის შეცდომაში შემყვანია:

საკონტაქტო ინფორმაცია

ელ-ფოსტა: zspa@zspa.ge

ტელეფონი: (231) 32600 (11) / (231) 33471

არ მოიძიება დირექტორის მეორე მოადგილის სახელი და გვარი, ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციისა აღწერა. აგრეთვე, არ მოიძიება მისი არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი - სამუშაო ელ.ფოსტა, მისალების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;

ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ მოადგილის პოზიცია ვაკანტურია, სასურველია, ზემოთ აღნიშნულ შესაქმნელ (ქვე-)განყოფილებაში „დირექტორის მოადგილე“ დაემატოს შემდეგი სახის ინფორმაცია: „თანამდებობა დაკავებული არ არის“, „მოადგილე ჯერ არ დანიშნულა“ ან მისთ.

სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას (ქვე-)განყოფილებები, სათაურად „სკოლის დირექტორი“ და „დირექტორის მოადგილეები“ სადაც განთავსდება მათ შესახებ ყველა სახის შესაბამისი ინფორმაცია.

2. არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა, სკოლის საფოსტო მისამართი (საფოსტო ინდექსზე მითითება) და სკოლის შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა.

3. ვებ-გვერდზე მოცემულია სკოლის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, თუმცა სასურველია, აქვე მითითებულიც იყოს, რომ მოცემული ნომერი წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერს, ამასთან, მოცემულ განყოფილებაშიც, აგრეთვე, არასწორად არის წარმოდგენილი ქ. ქუთაისის სატელეფონი კოდი:

ზურაბ გვარიას სახელობის სკოლა

ინფორმაცია: ვებ-გვერდი: www.zspa.ge

ელ-ფოსტა: zspa@zspa.ge;

მისამართი: ქუთაისი, ნივარა ქ. #13

ტელ.: (8231) 32600,

ფაქს.: (8231) 32600,

4. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სკოლის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (მართვის ორგანოების [დირექტორის, რეგენტთა საბჭოს წევრების], დირექციისა და ტექნიკური პერსონალის წევრების სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტები და ფაქსის ნომრები), აგრეთვე, არ მოიძიება სკოლის მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

5. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სკოლის ზემდგომი (მაკონტროლებელი) ორგანოს, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დასახელება.

7. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სკოლის დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია; ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სკოლის შესახებ“ არსებული ქვე-განყოფილება „ისტორია“ იუწყება, რომ ელემენტები საჩვენებლად არაა:

სკოლის შესახებ ისტორია
სასწავლო პროგრამის მომატიული ბაზა
ბიუჯეტი
სახელმწიფო შესყიდვები
პერსონალი
კურსდამთავრებულები
მსმენელები
ბიბლიოთეკა
კონკურსები
ტერდერები
ფოტო გალერეა

ენებლად არაა

სკოლის შესახებ
სასწავლო პროგრამები
ბიუჯეტი
სახელმწიფო შესყიდვები
პერსონალი

ელემენტები საჩვენებლად არაა

8. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სკოლის კომპეტენციის, საქმიანობის სფეროს, ფუნქციებისა და მიზნების აღწერა. აგრეთვე, არ არსებობს შესაბამისი (ქვე-)განყოფილება.

➤ **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

9. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სკოლის სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება სკოლის მართვის ორგანოების (დირექტორის, რეგენტთა საბჭოს), დირექციისა და ტექნიკური პერსონალის სქემატური ნახატი;
- ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „პერსონალი“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ადმინისტრაცია“ არასრულად არის წარმოდგენილი სკოლის თანამშრომლების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ მოცემულია მხოლოდ ხუთი თანამშრომლის შესახებ ინფორმაცია, ხოლო სკოლასთან სატელეფონო კავშირის შედეგად გაირკვა, რომ დღეის მდგომარეობით სკოლაში მომუშავე პირთა რაოდენობა შეადგენს ჩვიდმეტს, სასურველია, ვებ-გვერდზე აგრეთვე, განთავსდეს მათ შესახებ შესაბამისი ინფორმაცია:



გივი ჭოჭოვაშვილი - 10.06.1959
დირექტორის მოადგილე
[დაწერილებით]



ზურაბ ჭოჭოვაშვილი - 04.09.1979
მუდალტერი
[დაწერილებით]



მაია ჭოჭოვაშვილი - 25.09.1969
ადმინისტრაციული
ასისტენტი
[დაწერილებით]



გიორგი ჭოჭოვაშვილი - 15.03.1956
სამეცნიერო მუშაკი
[დაწერილებით]



ზურაბ ჭოჭოვაშვილი - 10.01.1957
კომენდანტი
[დაწერილებით]

- არ მოიძიება სკოლის თანამშრომლების კომპეტენციის აღწერა და აგრეთვე მათი ფაქსის ნომრები.

ამასთან, ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილია ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „პერსონალი“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ადმინისტრაცია“, სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას (ქვე-)განყოფილება სათაურად „სტრუქტურა“ სადაც განთავსდება ყველა შესაბმისი ინფორმაცია და მათ შორის მართვის ორგანოების (დირექტორის, რეგენტთა საბჭოს), დირექციისა და ტექნიკური პერსონალის ინფორმაციული აღწერა და მათი ფუნქციები).

ამასთან, ვებ-გვერდზე არ მოიძიება სკოლის სტრუქტურული ერთეულის - რეგენტთა საბჭოს შესახებ არანაირი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოძიება რეგენტთა საბჭოს შესახებ (ქვე-)განყოფილება;
- არ მოძიება რეგენტთა საბჭოს ხელმძღვანელებისა და წევრების წევრების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები და საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

➤ მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ

10. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიათა (არ არსებობს შესაბამისი (ქვე-)განყოფილება), საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, სკოლის საქმიანობის ამსახველი წლიური და კვარტალური/მიმდინარე ანგარიშები (მათ შორის რეგენტთა საბჭოს მიერ დამტკიცებული სკოლის დირექტორის მიერ წარდგენილი კვარტალურ და წლიურ ანგარიშები), პროგრამები (მათ შორის რეგენტთა საბჭოს მიერ განსახორციელებელ პროგრამებს და მათი შესრულების გეგმები) და პროექტები, გეგმები (მათ შორის რეგენტთა საბჭოს მიერ დამტკიცებული სკოლის ყოველწლიური სამოქმედო გეგმა)

და პროგნოზები, სტატისტიკური მონაცემები, ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები და ა.შ.

ამასთან, ვებ-გვერდზე არსებული შემდეგი განყოფილებები და ქვე-განყოფილებები ცარიელია, (ელემენტები საჩვენებლად არა):

- „სკოლის შესახებ“:



ელემენტები საჩვენებლად არაა

- „სკოლის შესახებ“ – „ისტორია“:



ელემენტები საჩვენებლად არაა

- „სკოლის შესახებ“ – „ნორმატიული ბაზა“:



ელემენტები საჩვენებლად არაა

- „სკოლის შესახებ“ – „ნორმატიული ბაზა“ – „სამინისტრო“:



ელემენტები საჩვენებლად არაა

- „სკოლის შესახებ“ – „ნორმატიული ბაზა“ – „სკოლა“:

სკოლის შესახებ ისტორია
სასწავლო პროგრამატიული ბაზა
ბიუჯეტი
სახელმწიფო შესყიდვები
პერსონალი
კურსდამთავრებულები

- „სკოლის შესახებ“ – „ნორმატიული ბაზა“ – „სკოლა“ – „ბრძანებები“:

სკოლის შესახებ ისტორია
სასწავლო პროგრამატიული ბაზა
ბიუჯეტი
სახელმწიფო შესყიდვები
პერსონალი
კურსდამთავრებულები

- „პერსონალი“ – „სამეთვალყურეო საბჭო“:

სკოლის შესახებ
სასწავლო პროგრამები
ბიუჯეტი
სახელმწიფო შესყიდვები
პერსონალი სამეთვალყურეო საბჭო
კურსდამთა: ადმინისტრაცია
მსმენელები: მასწავლებლები
ბიბლიოთეკა

- „პერსონალი“ – „მასწავლებლები“:

სკოლის შესახებ	ელემენტები საჩვენებლად არაა
სასწავლო პროგრამები	
ბიუჯეტი	
სახელმწიფო შესყიდვები	
პერსონალი სამეთვალყურეო საბჭო	
კურსდამთა აღმინისერაცია	
მსმენელები მასწავლებლები	
ბიბლიოთეკა	

- „ბიბლიოთეკა“:

სკოლის შესახებ
სასწავლო პროგრამები
ბიუჯეტი
სახელმწიფო შესყიდვები
პერსონალი
კურსდამთავრებულები
მსმენელები
ბიბლიოთეკა
კონკურსები
ტემდერები




ელემენტები საჩვენებლად არაა

- „ტენდერები“:

სკოლის შესახებ
სასწავლო პროგრამები
ბიუჯეტი
სახელმწიფო შესყიდვები
პერსონალი
კურსდამთავრებულები
მსმენელები
ბიბლიოთეკა
ტენდერები

ელემენტები საჩვენებლად არაა

ამასთან, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ფოტო გალერეა“ განთავსებული დოკუმენტები დაზიანებულია:



- ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები

11. ვებ-გვერდზე არ არსებობს სკოლის საქმიანობის შესახებ საინფორმაციო ხასიათის მიმოხილვები („ახალი ამბები“ ან „სიახლეები“); ვებ-გვერდზე არ მოიძიება სკოლის ხელმძღვანელ პირთა მიმდინარე საქმიანობის შესახებ არანაირი სახის ცნობები. კერძოდ:

- არ მოიძიება სკოლის დირექტორის გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები, ცნობები მისი ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ, აგრეთვე, ცნობები მისი მონაწილეობის შესახებ ამა თუ იმ ღონისძიებებში;
- არ მოიძიება სკოლის დირექტორის მოადგილეების გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები, ცნობები მათი ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ, აგრეთვე, ცნობები მათი მონაწილეობის შესახებ ამა თუ იმ ღონისძიებებში.

სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას შესაბამისი (ქვე-)განყოფილება სათაურად „სიახლეები“ ან „ახალი ამბები“ სადაც განთავსდება ზემოთ აღნიშნული შესაბამისი ინფორმაცია.

12. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება სათაურად „წლიური ანგარიში“ სადაც განთავსდებოდა სკოლის საქმიანობის წლიური და მიმდინარე/კვარტალური ანგარიშები.

13. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „სტატისტიკა“, სადაც განთავსდებოდა სკოლის მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია და მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ სკოლის საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას.

14. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „პროგრამები/პროექტები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროგრამების/პროექტების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სკოლა. აგრეთვე, ცნობები იმ პროგრამების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს სკოლა. (პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, ზურაბ უვანიას სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) ამომწურავი ჩამონათვლი, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სკოლა, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სკოლის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/ivania_programebi.pdf.

15. სასურველია, ვებ-გვერდზე არსებობდეს (ქვე-)განყოფილებები „საერთაშორისო პარტნიორობა“ და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და სკოლის პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

➤ **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

16. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სკოლის შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ნორმატიული ბაზა“ არ არის მოცემული სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტები, სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ინდვიდუულურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები (მათ შორის დირექტორის მიერ გამოცემული დირექტორის მოადგილების კომპეტენციის განმსაზღვრელი სამართლებრივი აქტი).

ამასთან, შემდეგი სამართლებრივი აქტები - სკოლის წესდება და შინაგანაწესი სასურველია, მოიძიებოდეს განცალკევებულ (ქვე-)განყოფილებებში.

სასურველია, აღნიშნულ (ქვე-)განყოფილებაში, აგრეთვე, მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“;
- საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 10 ივნისის N476 ბრძანებულება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის“ დაფუძნების“ შესახებ“;
- საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას

17. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

18. ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და

საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და სკოლაში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები. (პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, ზურაბ უვანის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) გამოცემული იმ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი (რეკვიზიტებზე მითითებით), რომელიც მოიცავს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებასა ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სკოლის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/jvania_sajaroinfo.pdf.

➤ საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები

19. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა სკოლასა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე, სკოლასა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

20. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სახელმწიფო შესყიდვები“ განთავსებულია მხოლოდ 2009 და 2010 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების გეგმა და სია. სასურველია, აღნიშნულ განყოფილებაში განთავსდეს აგრეთვე, 2011 წელს განხორციელებული შესყიდვების ჩამონათვალი და ასევე, სკოლის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაცია.

ამასთან, ვებ-გვერდზე არსებული განყოფილება სათაურად „ტენდერები“ ცარიელია, და იუწყება, რომ ელემენტები საჩვენებელი არ არის:

სკოლის შესახებ
სასწავლო პროგრამები
ბიუჯეტი
სახელმწიფო შესყიდვები
პერსონალი
კურსდამთავრებულები
მსმენელები
ბიბლიოთეკა
კონკურსები
ტენდერები

ელექტრონული საჩვენებლად არაა

სასურველია, აღნიშნულ განყოფილებაში განთავსდეს სკოლის მიერ გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების, (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის ამომწურავი ჩამონათვალი, ასევე, სკოლის მიერ განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია.

➤ საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა

21. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება სათაურად „ვაკანსიები“, სადაც განთავსდებოდა ვაკანსიათა არქივი, აგრეთვე, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (სკოლის მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი (სათანადო ცოდნა და გამოცდილება, ძირითადი უნარ-ჩვევები), საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

➤ საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)

22. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის არანაირი ინფორმაცია:

- არ მოიძიება სკოლის ბიუჯეტში სკოლის დაფუძნების პერიოდიდან (2005-2006-2007-2008) და 2011 წლებში ასახული შემოსავლებისა და გასავლების/ ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია; (პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, ზურაბ უვანიას სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი)

განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სკოლის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:


http://www.opendata.ge/pdf_files/jvania_bijeti.pdf

აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია, რომელიც ასევე, მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სკოლის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/jvania_budget.pdf;


- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;
- არ მოიძიება სკოლის სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია; (პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, ზურაბ უვანიას სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა ადმინისტრაციისა და სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასებისა და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე) რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სკოლის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:
http://www.opendata.ge/pdf_files/jvania_xelfasebi.pdf);
- არ მოიძიება სკოლის შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სკოლა;
- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ სკოლისათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:



ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი

- ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე



➤ ნავიგაცია

ვებ-გვერდის ნავიგაცია ცუდად არის აწყობილი, მისი შიდა კატეგორიები არ არის გამოყოფილი ცალკე და რთულია გარკვევა თუ სად იწყება და სად მთავრდება შიდა კატეგორიების ველი:

The screenshot shows a website layout. At the top right is a photo of a large, multi-story building with many windows. To its left is the URL ZSPA.GE. Below the photo is a dark bar with white text: "მთავარი" (Main) on the left and "ზურაბ ქვანია" (Zurab Kvaniya) on the right. The main content area has a green background on the left and a white background on the right. On the left side of the green area, there is a vertical list of categories: "სკოლის შესახებ", "სასწავლო პროგრამები", "ბიუჯეტი ბიუჯეტი 2009", "სახელმწირ ბიუჯეტი 2010", "პერსონალი", "კურსდამთავრებულები", "მსმენელები", "ბიბლიოთეკა", "კონკურსები", "ტენდერები", and "ფოტო გალერეა". On the right side of the green area, there is a white box containing text: "არ გაქვთ ამ რესურსის ნახვის უ გესაჭიროებათ შესვლა."

➤ ძიება

ძიების მოდული ვებ-გვერდს არ გააჩნია;

➤ მარტივად აღქმის კრიტერიუმები

ვებ-გვერდზე უმეტესობა კატეგორიები დახურულია, ანუ შესვლა ჩვეულებრივ მომხმარებელს არ შეუძლია:

	<p style="text-align: right;">ზურაბ ქვაწიას სახელობის ZSPA სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა</p>	
მთავარი	ზურაბ ქვაწია	English
<p>სკოლის შესახებ სასწავლით პროგრამები ბიუჯეტი სახელმწიფო შესყიდვები პერსონალი კურსდამთავრებულები მსმენელები ბიბლიოთეკა კონკურსები ტენდერები ფოტო გალერეა</p>	<p>ელემენტები საჩვენებლად არაა</p>	<p>საპლიკაციო ფორმები გამოცდების შედეგები კომეტირები კონტაქტი</p>
<input type="radio"/> კარგი <input type="radio"/> არაუმატები <input type="radio"/> ცუდია		<p><input type="checkbox"/> მიღება <input type="checkbox"/> ცუდები</p>
<input type="radio"/> დებულობით თუ არა ახალი საიტი?		<p><input type="checkbox"/> დაას <input type="checkbox"/> საშუალო <input type="checkbox"/> არა</p>
<input type="checkbox"/> მიღება <input type="checkbox"/> ცუდები		<p><input type="checkbox"/> დაას <input type="checkbox"/> საშუალო <input type="checkbox"/> არა</p>
იანვარი 2010 თუ საჭირო ხდეთ პრეზენტაცია		<p><input type="checkbox"/> მიღება <input type="checkbox"/> ცუდები</p>
 საქართველოს კარავაგოვი		
 საქართველოს მთავრობა		
 საქართველოს აკადემიუმი		


ხოლო, სხვა ინფორმაცია ვებ-გვერდზე ატვირთულია დოკუმენტების სახით, რაც ართულებს ინფორმაციის მარტივად აღქმას. ვებ-გვერდის მთავარი დანიშნულებაა მარტივი ფორმით მიაწოდოს მომხმარებელს ინფორმაცია, რაც ამ შემთხვევაში ირღვევა;

➤ საკონტაქტო ფორმები და წესები

Տարբերակը պահանջում է այս գործությունը:

➤ ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა

ვებ-გვერდის ინგლისურენოვან ვერსიაში ჩანს ქართული წარწერები:



ინგლისურ ვერსიაში აუცილებლად უნდა იყოს ინგლისური ბანერები და წარწერები;

➤ **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

სიახლეების ძებნა თარიღის მიხედვით ვერ ხერხდება, შესაბამისი მოდული არსებობს, თუმცა იგი არასწორად ფუნქციონირებს. მაგალითად 2010 წლის 26 იანვარს მოდული გვიჩვენებს, რომ სიახლე არსებობს, თუმცა მასზე დაჭრით გადავდივართ ცარიელ გვერდზე:

სპეციალისტი	English																																		
<p>სააპლიკაციო ფორმები გამოცდების შედეგები კომენტარები კონტაქტი</p>																																			
<p>ამები</p> <p>ყიდვები</p> <p>ულები</p>	<p>მოგწონთ თუ არა ახალი საიტი?</p> <p><input type="radio"/> კარგია</p> <p><input type="radio"/> არაუმავს</p> <p><input type="radio"/> ცუდია</p> <p><input type="checkbox"/> ნშის მიცემა</p> <p><input type="checkbox"/> შედეგები</p> <p>დებულობთ თუ არა საჭირო ინფორმაციას?</p> <p><input type="radio"/> დიას</p> <p><input type="radio"/> საშუალო</p> <p><input type="radio"/> არა</p> <p><input type="checkbox"/> ნშის მიცემა</p> <p><input type="checkbox"/> შედეგები</p>																																		
<p>თანამდებობა 2010</p> <table border="1" style="margin-left: auto; margin-right: auto;"> <thead> <tr> <th colspan="2">ორ სამ თათხ ხუთ პარშეაპ</th> </tr> <tr> <th></th> <th>1</th> <th>2</th> <th>3</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>4</td> <td>5</td> <td>6</td> <td>7</td> </tr> <tr> <td>11</td> <td>12</td> <td>13</td> <td>14</td> </tr> <tr> <td>18</td> <td>19</td> <td>20</td> <td>21</td> </tr> <tr> <td>25</td> <td>26</td> <td>27</td> <td>28</td> </tr> <tr> <td></td> <td></td> <td></td> <td>29</td> </tr> <tr> <td></td> <td></td> <td></td> <td>30</td> </tr> <tr> <td></td> <td></td> <td></td> <td>31</td> </tr> </tbody> </table>		ორ სამ თათხ ხუთ პარშეაპ			1	2	3	4	5	6	7	11	12	13	14	18	19	20	21	25	26	27	28				29				30				31
ორ სამ თათხ ხუთ პარშეაპ																																			
	1	2	3																																
4	5	6	7																																
11	12	13	14																																
18	19	20	21																																
25	26	27	28																																
			29																																
			30																																
			31																																

➤ ဗျာတွေ့ရတိန္တာ

ვებ-გვერდის სამართავი პანელის მიგნება ძალიან მარტივია:



```
User-agent: *
Disallow: /administrator/
Disallow: /cache/
Disallow: /components/
Disallow: /editor/
Disallow: /help/
Disallow: /images/
Disallow: /includes/
Disallow: /language/
Disallow: /mambots/
Disallow: /media/
Disallow: /modules/
Disallow: /templates/
Disallow: /installation/
```

საჭიროა Robots.txt-იდან სამართავი პანელის მისამართის ამოგდება



➤ დამატებითი პარამეტრები

ვებ-გვერდს აუცილებლად უნდა ქონდეს ონლაინ გადახდების მოდული, რომლის მეშვეობით მომხმარებელი შეძლებს Visa/Master Card-ის მეშვეობით დაფაროს გადასახადები;

ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდზე ამჟამად ძალიან მწირი ინფორმაციაა განთავსებული. ასევე მისი მოდულები და ფუნქციები გაუმართავია.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ვებ-გვერდი ძალიან სტანდარტულია, მითუმეტეს, რომ იგი აწყობილია მზა მოდულის JOOMLA-ს დახმარებით;